ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

პროექტების გასაჩივრების ორგანოს

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ მახალაკიძეების

რაბათის უბნის

ს ა ჩ ი ვ ა რ ი

გვსურს, მოგმართოთ ოფიციალური საჩივრით შუახევი ჰესის პროექტის თაობაზე, რომელიც დაფინანსდა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ფინანსური მხარდაჭერის საშუალებით. შესაბამისად, პროექტი უნდა განხორციელებულიყო აღნიშნული ბანკების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნების შესაბამისად.

2017 წლის აგვისტოში ჩვენ საჩივრის წერილით მივმართეთ ზემოაღნიშნული ბანკების მენეჯმენტს შუახევი ჰესის (ზემო აჭარა, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტები) პროექტის თაობაზე, რათა მათ რეაგირება მოეხდინათ პროექტიდან მომდინარე იმ საფრთხეებზე, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს ჩვენი სოფლის არსებობას.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ გამოგზავნილ წერილს გამოხმაურება არც კომპანიის და არც ბანკების მენეჯმენტისგან არ მოჰყოლია, რის გამოც გადავწყვიტეთ, მოგვემართა თქვენთვის საჩივრით.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 187 მეგავატი სიმძლავრის შუახევი ჰესის პროექტი დაფინანსებულია თქვენი ბანკების მიერ. შესაბამისად, პროექტის განხორციელება უნდა მომხდარიყო თქვენი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტებით.

შუახევი ჰესის პროექტი გულისხმობდა ორი კაშხლის (39 მეტრი სიმაღლის დიდაჭარის და 22 მეტრი სხალთის კაშხლები) და რამდენიმე სადერივაციო გვირაბის (სამი გვირაბი: 5.8, 9.1 და 17.8 კმ) გაყვანას მდ. აჭარისწყალის სხვადასხვა შენაკადებიდან, მათ შორის ჩვენი სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზეც. თავად სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელებულიყო ბურღვა-ფეთქებითი მეთოდის გამოყენებით. აღნიშნული საკითხი არაერთხელ დავაყენეთ სხვადასხვა შეხვედრებზე, თუმცა კომპანიის წარმომადგენლები მუდმივად გვარწმუნებდნენ, რომ ბიძგები იმდენად უმნიშვნელო იქნებოდა, რომ მას ჩვენ ვერც კი ვიგრძნობდით. უფრო მეტიც კომპანიამ სოფელთან გააფორმა მემორანდუმი 2014 წელს, რომლის თანახმადაც მან აიღო ვალდებულება, რომ ზიანის მოყენების შემთხვევაში მოახდენდა კომპენსაციას.

სამშენებლო სამუშაოები ისე განხორციელდა აჭარისწყალი ჯორჯიას მიერ, რომ ისეთი პრობლემური საკითხები როგორიცაა მოსახლეობის უსაფრთხოება, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანი, გააქტიურებული მეწყერები (ქვათა ცვენა), ზემოქმედება სასმელ

გარემოზე მიყენებული ზიანი, გააქტიურებული მეწყერები (ქვათა ცვენა), ზემოქმედება სასმელ და საირიგაციო წყლებზე, მდინარისთვის მიყენებული ზიანი და სოფელში მიკროკლიმატის ცვლილება, გამოწვეული მდინარეში წყლის მხოლოდ 10%-ის დატოვებით, არ იქნა გათვალისწინებული, ხოლო მოგვიანებით კომპანიამ საერთოდ იგნორირება მოახდინა წარმოშობილი პრობლემების და უარს ამბობს პასუხისმგებლობის აღებაზე.

ამ თემაზე უამრავი შეხვედრა გაიმართა ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კომპანიისა თუ ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან, თუმცა უშედეგოდ. რეაგირება არ მოჰყოლია ჩვენს მიერ ბანკების მენეჯმენტისადმი აგვისტოში გაგზავნილ წერილსაც.

პროექტის მშენებლობა დასრულდა, თუმცა სოფელში გაგვიქრა სასმელი წყლები, იმატა ქვათაცვენამ, რაც საფრთხეს უქმნის სოფლის მაცხოვრებლების სიცოცხლეს, გააქტიურდა მეწყრული პროცესები სოფელში, მდინარეში გაქრა საქართველოს წითელ წიგნში შესული კალმახი და თევზების სხვა სახეობები, იკლო მოსავლიანობამ. პრაქტიკულად სოფელში ცხოვრება და არსებობა უკვე შეუძლებელია.

ბოლო ორი წლის განმავლობაში სახელმწიფო სხვადასხვა უწყებების გეოლოგების მიერ მოხდა ჩვენი სოფლის შესწავლა და დაიდო დასკვნა სოფელში არსებულ საგანგაშო გეოლოგიური მდგომრეობის თაობაზე, რაც სწორედ კომპანიის მიერ სოფლის ტერიტორიაზე წარმოებულმა ბურღვა-ფეთქებითმა სამუშაოებმა გამოიწვია და გააქტიურა გეოლოგიური პროცესები.

შექმნილი რთული გეოლოგიური მდგომარეობის გამო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შემოგვთავაზა 25000 ლარიც ნაცვლად, იმისა რომ კომპანიის მხრიდან მომხდარიყო მიყენებული ზიანის შეფასება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად კომპენსაცია, როგორც ეს განსაზღვრული იყო 2014 წელს სოფელთან გაფორმებული მემორანდუმის 2.7 პუნქტში.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამშენებლო სამუშაოები ისე დაიწყო, დეტალური გეოლოგიური შესწავლა და შესაბამისი შემარბილებელი სამუშაოები არ განსაზღვრულა, რაც მიგვაჩნია, რომ არის თქვენი ბანკების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის უხეში დარღვევა და წარმოადგენს სოფელში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის მთავარ მიზეზს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვითხოვთ კომპანიისგან მოხდეს ჩვენი, რაბათის უბნის მოსახლეობის ქონების ინვენტარიზაცია და შესაბამისი საკომპენსაციო პაკეტების განსაზღვრას ინდივიდუალურად, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მოთხოვნების შესაბამისად.

აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ კომპანია უარს აცხადებს პასუხისმგებლობის აღებაზე და რეალური მიზეზების დადგენაზე. ამიტომ მოვითხოვთ ბანკებისგან ერთის მხრივ, შეისწავლოთ რამდენად შეესაბამებოდა შუახევი ჰესის პროექტი, მისი ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და განხორციელებული სამუშაოები თქვენი ბანკების გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკის მოთხოვნებს. მიგვაჩნია, რომ პროექტში იგნორირებული იყო მთელი რიგი საკითხები (გეოლოგიური, სოციალური), რის გამოც მივიღეთ ზიანი.

შესაბამისად, ერთის მხრივ ვითხოვთ პროექტის გამო შექმნილი პრობლემების მოგვარებას, ხოლო მეორეს მხრივ, ვითხოვთ პროექტის შესაბამისობის ანალიზს თქვენს გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან.

პატივისცემით,

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	მობილური	იმეილი	ხელმოწერა
1. ჯუმბერ ფუტკარაძე	61010012122	557-50-66-88 591-05-43-07	jumberfut-karadze10@mail.ru	[signature]
2. ავთანდილ ფუტკარაძე	61010000960	599-79-36-09	----	
3. [illegible] ფუტკარაძე	61010012478	591-98-88-12	---	[signature]
4 ავთანდილ ფუტკარაძე	61010012889	591 95 65 71	--	[signature]
5 [illegible] [illegible]	61010010613	599256708		[signature]
6 [illegible] [illegible]	61010001537	591054310	[illegible]@mail.ru	[signature]
7. [illegible] [illegible]	61010016113	599-88-81-06		[signature]
8. [illegible] ფუტკარაძე	61010015904	577 15 94 91		[signature]
9. [illegible] [illegible]	61010007381	577-30-45-88		[signature]
10. [illegible] [illegible]	61010016945	591 95 65 32		[signature]
[illegible] [illegible]	61010007056	599 246749		[signature]
ავთანდილ [illegible]	61001037164	577 798257		[signature]
ნუგზარ [illegible]	61010016343	599-49-20-85		[signature]
[illegible] ფუტკარაძე	61010015529	577-42-35-56		[signature]
[illegible] [illegible]	62001048999	591-05-43-04		[signature]
[illegible] [illegible]	61010004204	558997187		[signature]
ლევანი ფუტკარაძე	61010020332	558661168		[signature]

საკონტაქტო – mail – levani.Futkaradze@gmail.com

9.02.2018 წ.